სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ჭიათურას „მათე“ - ქუთაისის „ბაგრატი“		
გუნდი	ქუთაისის „ბაგრატი“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	28/11/2023	მატჩის ადგილი	ჭიათურა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	შაკო კიკვაძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი - სულხან ჩიხლაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია: 8.6 საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	01/11/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	☒ კი (დისტანციური) ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	

განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, სულხან ჩიხლაძის საითინგი

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, სულხან ჩიხლაძის საითინგი;
2. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მწვრთნელის, შაკო კიკვაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ქუთაისის „ბაგრატი“-ს მწვრთნელმა, შაკო კიკვაძემ ნაწილობრივ აღიარა საითინგში აღნიშნული დარღვევა. კერძოდ, მან აღიარა თამაშის განმავლობაში მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირების ფაქტი რის გამოც მიეცა გაფრთხილება და მას დაატოვებინეს ტექნიკური ზონა. შაკო კიკვაძე არ დაეთანხმა საითინგში აღნიშნულ გარემოებას იმის შესახებ, რომ ტექნიკური ზონის დატოვების შემდეგ ის კვლავ აგრძელებდა მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე აპელირებას.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 28/10/2023 გაიმართა I ლიგის VI ტურის მატჩი ჭიათურას „მათე“-სა და ქუთაისის „ბაგრატი“-ს შორის.
2. მატჩის მსაჯის, სულხან ჩიხლაძის საითინგის მიხედვით (ციტირება) – „თამაშის დაწყებიდანვე ბაგრატის მწვრთნელ შაკო კიკვაძისგან იყო აპელირება ჩემს გადაწყვეტილებებზე. გუნდის კაპიტანი გავაფრთხილე დამშვიდებულიყო მათი მწვრთნელი,, ასევე პირველი ტაიმის შესვენებაზე მატჩის კომისართან ერთად მიიღეს სიტყვიერი მითითება სიმშვიდესთან დაკავშირებით(თუარ გაჩერდებოდა დატოვებდა მისთვის განკუთვნილ სივრცეს) ამის შემდეგ 55:00 წუთზე მან იგივე გააგრძელა და მატჩის მეთვალყურემ დაატოვებინა ტექნიკური ზონა და გაუშვა გარეთ. მოედნის დატოვების შემდეგ მან არ შეწყვიტა აპელირება და აგრძელებდა იგივეს სხვა სივრციდან თამაშის დამთავრებამდე“

მსჯელობა

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების განხილვის შემდეგ დადგენილად ცნო ქუთაისის „ბაგრატი“-ს მწვრთნელის, შაკო კიკვაძის მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.6 პუნქტის დარღვევა.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	2 (ორი) კვირა/თამაში	☐ წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	02/11/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	19/11/2023 (I ლიგის გათამაშების ცხრილის მიხედვით)	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა.	კლუბ ქუთაისის „ბაგრატს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა 200(ორასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 2 დეკემბრამდე. **შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 13.8 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.**	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ პიროვნებას ეკრძალება ნებისმიერი დონის რაგბის თამაშის დროს, ყოველგვარი აქტივობა სათამაშო პერიმეტრში.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	02/11/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**